საზოგადოება

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე მასწავლებლებისადმი მიმართვას ავრცელებს

19:57 30-12-2011

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძე მასწავლებლებისადმი მიმართვას ავრცელებს და ერთიანობისკენ მოუწოდებს. მიმართვის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ .

"პროფკავშირს თავისი ისტორიის მანძილზე დამსაქმებლისგან ან ხელისუფლებისგან მხარდაჭერა არასოდეს ჰქონია. ამიტომ ხელისუფლებისგან ზეწოლა გასაკვირი არ არის და გაგრძელდება მანამ, ვიდრე პროფკავშირის თითოეული წევრი, ყოველი ლიდერი ღრმად არ გაითავისებს თავის უფლება_მოვალეობისა და ერთობის აუცილებლობას. ამ პრობლემებზე საუბარი იქნებ უხერხულიც კია მაშინ, როდესაც დღეს პედაგოგთა პროფკავშირის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ლიდერთა შორის არსებობს ჯგუფი, ე.წ. ,,მე-5 კოლონა", რომელიც ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუშალოს ორგანიზაციის გამთლიანების საკითხს. მათი ძირითადი პრეტენზიაა პროფკავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს ხელისუფლებისათვის კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის მისაღები და მართული პიროვნება.

ამ მოთხოვნას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი გადაიქცევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულად და პედაგოგთა უფლებების დაცვის ნაცვლად, ორიენტირებული იქნება დამსაქმებელთა ინტერესებსა და დირექტივების შესრულებაზე. ჩვენი მიზანია, აღდგეს ორგანიზაციის კანონიერი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ჩვენ ვერ შევეგუებით და არ დავუშვებთ ისეთი პროფკავშირის არსებობას, სადაც პროფკავშირის ფსევდოლიდერები თავს კომფორტულად იგრძნობენ, შეგროვილი საწევროების ხარჯზე ექნებათ მაღალი ხელფასები და სხვა მატერიალური კეთილდღეობა, შეთანხმებულად იმოქმედებენ დამსაქმებელთან და შესაბამისად, მასწავლებელთა უფლებების დაცვას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

მიმაჩნია, რომ ეს არის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, ანუ სახეზე გვაქვს ძველი და ახალი პროფკავშირული აზროვნების დაპირისპირება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ვინ ,,იბრძვის" დღეს პროფკავშირის ინტერესების დასაცავად: ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ხათუნა არველაძე, არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმერეთის რეგიონის იურისტი, იურიდიულ კონსულტაციებს უწევს სკოლის დირექტორებს და იცავს დამსაქმებელთა ინტერესებს სასამართლო პროცესზე. ველითხებით ქალბატონ ხათუნა არველაძეს რა კანონიერი და მორალური უფლება აქვს დარჩეს პროფკავშირის ლიდერად. ბოლნისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე პარალელურად იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი ქვემო ქართლის რეგიონში. ჩვენ გვყავს რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეები, რომლებიც არიან სკოლის დირექტორები და ადგილობრივი თვითმართველობის შტატიანი თანამშრომლები. ასევე, შეგვიძლია მოვიყვანოთ ფაქტები, როდესაც რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარეები გვევლინებიან რესურსცენტრების შტატგარეშე თანამშრომლების რანგში და არც ერთ საკითხს არ წყვეტენ მათთან შეთანხმების გარეშე. აი, ასეთი "პროფკავშირელები", ორგანიზაციის წესდებას ამოფარებულები ქმნიან ილუზიას, რომ იბრძვიან პროფკავშირული ორგანიზაციის ,,გადარჩენისათვის".

ჩვენს მიერ არჩეული სტრატეგია, თვისობრივად ახალი პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნისა, ემყარება იმ განწყობას, რაც დღეს პედაგოგთა საზოგადოებაშია. გამოვთქვამთ მზადყოფნას, გავიზიაროთ პედაგოგთა შენიშვნები და წინადადებები საბოლოო მიზნის მიღწევის რთულ გზაზე. ნუ დაგავიწყდებათ ,,ძალა ერთობაშია", _ ნათქვამია მიმართვაში.

მასალის გამოყენების პირობები